შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.666)

24 იანვარი-7 თებერვალი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სამრეკლოს სკოლის დირექტორად ნანა ჭიღიტაშვილი დანიშნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს. გაზეთი „შირაქი“ უკვე წერდა რომ ნანული ჭიღიტაშვილი სკოლის სამეურვეო საბჭომ გასული წლის 3 დეკემბერს დანიშნულ არჩევნებზე დირექტორად არ აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთადერთი კანდიდატი იყო. თუმცა, ამჯერად განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ სერტიფიცირებული კანდიდატი დისკრეციული უფლებით დირექტორად მაინც დანიშნა. ჭიღიტაშვილი სამრეკლოს საჯარო სკოლას 6 წლის ვადით უხელმძღვანელებს.

ახალი დირექტორი პედაგოგებს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეა ლეკაშვილმა წარუდგინა. მან პედაგოგებს ის საკანონმდებლო ნორმები გააცნო, რომლის მიხედვითაც დირექტორის არ, ან ვერ არჩევის შემთხვევაში მინისტრს დისკრეციული უფლებამოსილება ენიჭება, პირდაპირ დანიშნოს კანდიდატი და აღარ დადგეს აუცილებლობა, სკოლის სამეურვეო საბჭომ გააფორმოს ხელშეკრულება.

მოგვიანებით, თეა ლეკაშვილმა ნანული ჭიღიტაშვილის პროფესიულ გამოცდილებაზე ისაუბრა და სამრეკლოს სკოლას წარმატებები უსურვა. მან ყოფილ დირექტორს მაია ნასრაშვილს გაწეული სამუშაოსთვის და სკოლაში გატარებული წლებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მისი ძალისხმევით სამრეკლოს სკოლა ყოველთვის კონკურენტუნარიანი იყო.

„გილოცავთ ამ სიახლეს. რადგან დისკრეციული უფლებით მოხდა თქვენს სკოლაში დირექტორის დანიშვნა, მინდა ყველასთვის ცნობილი იყოს, რომ ქალბატონი ნანული არის ძალიან პოზიტიურად განწყობილი თქვენს მიმართ. ის უკვე იყო დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორი და დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებით უხელმძღვანელებს ამ სკოლას და ყველაფერი კარგად იქნება,“ - აღნიშნა ლეკაშვილმა.

როგორც ნანა ჭიღიტაშვილმა განაცხადა, მინისტრის ბრძანება 6 იანვარს გამოიცა. მისი თქმით, ეცდება, საათები ყველა პედაგოგზე გადანაწილდეს და მათ შორის, ყოფილ დირექტორსაც სათანადო პირობები შეუნარჩუნდეს.

ნანული ჭიღიტაშვილი: „მე ვარ ჩვეულებრივი პედაგოგი, არაფრით განვსხვავდები თქვენგან, თუ არ ჩავთვლით, რომ მაქვს დირექტორად მუშაობის სერთიფიკატი. ვარ ძალიან მშვიდი, განწონასწორებული, კომუნიკაბელური. ვიცი, რომ სამრეკლოს სკოლას აქვს დიდი ტრადიციები. მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაიას. მინდა, რომ ყველა პედაგოგმა იგრძნოს, რომ მასწავლებლობას უფასებს ერი... არ დაგიმალავთ, ხანდახან მკაცრი ვარ, როცა საქმე არ კეთდება, როცა ყველაფერი ისე არ არის, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ. ხშირად ჩემი პირადული გადამიდია, ოღონდ თანამშრომელი იყოს კარგად. მაგალითს მოვიყვან: ოთხი წლის განმავლობაში სოფელ წითელწყაროს სკოლის პედაგოგად დავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე საჯარო სკოლაში ქიმიის პედაგოგს საათებში არ შევეცილე. პირველ რიგში მინდა, რომ ყველა პედაგოგი, შეძლებისდაგვარად, დატვირთული იყოს. კარგად მესმის, რომ ყველას უკან ოჯახი დგას. არაფერში არ ჩამოგივარდებით, ექსკურსია იქნება, ღონისძიება თუ ა.შ. ვიცი, რომ კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული და უნდა კიდევ უფრო შევკავშირდეთ, რომ ბევრს მივაღწიოთ. გპირდებით, რომ რაც ჩემზეა დამოკიდებული, გვერდით დაგიდგებით და თქვენი თანადგომის იმედიც მაქვს. ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთად განვახორციელებთ იმ რეფორმებს, რომლის დაკვეთაც ეროვნული სასწავლო გეგმით გვაქვს მოცემული.“

საბოლოო ჯამში, პედაგოგიური კოლექტივისთვის ახალი დირექტორის წარდგენის პროცესმა ხმაურის გარეშე ჩაიარა, არცერთ პედაგოგს საწინააღმდეგო პოზიცია არ დაუფიქსირებია. მათ შორის პრეტენზია არ ჰქონია არც სამეურვეო საბჭოს წევრებს.

ახლადდანიშნული დირექტორი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ მისი უპირველესი საზრუნავი იქნება სკოლა ცენტრალურ გათბობაზე გადავიდეს და შეშის ღუმელებით გათბობის არასასურველი პრაქტიკა წარსულს ჩააბარონ.

„იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ დედოფლისწყაროს სკოლები და, მათ შორის, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა მთლიანად ბუნებრივი აირით თბება, ადვილი შესაძლებელია, სამრეკლოს სკოლის გაზიფიცირებაც მოხდეს. დარწმუნებული ვარ, ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ სოფელში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც რაიონის სკოლებში დადიან, კვლავაც თავის სკოლას დაუბრუნდებიან და მიგრაციის პრობლემა აღარ იქნება. თავის მხრივ, შეშით გათბობას დისკომფორტიც ახლავს, ამდენად, ცენტრალური გათბობა ვითარებას ბევრად გააუმჯობესებს და ყველანაირად ვეცდები, შესაბამის უწყებებთან ეს საკითხი გავიტანო და მათი მხარდაჭერის იმედი მაქვს.“ - აღნიშნავს სამრეკლოს სკოლის დირექტორი.

ნანული ჭიღიტაშვილი ქიმიის პედაგოგია. მანამდე ის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში მუშაობდა, შემდეგ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორი იყო.

ილია მარტყოფლიშვილი

ელიის მიდამოები განათებულია

გვ.3

საგანმანათლებლო რესურსცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

გვ.2

იქცევა თუ არა პედაგოგის ჩაცმულობა დისციპლინურ სახდელად?!

გვ.5

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში შეხვედრებს განაგრძობს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს, თურქეთის პრემიერ-მინისტრს აჰმედ დავუთოღლუს და ასევე მასპინძელი ქვეყნის, შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრს დიდიე ბურკჰალტერს შეხვდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, ღარიბაშვილმა და ალიევმა ორი ქვეყნის "კეთილმეზობლური ურთიერთობები", სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვეს.

ღარიბაშვილმა, რომელმაც ასევე მიიღო მონაწილეობა აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელით დავოსში გამართულ მიღებაში, ილჰამ ალიევი საქართველოში მოიწვია.

თურქ კოლეგასთან შეხვედრაზე, რომელზეც ძირითადი ყურადღება ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე გამახვილდა, ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას თურქეთთან", იტყობინება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია.

პრემიერმა ღარიბაშვილმა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობების ფართო სპექტრი და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს; პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის ცნობით, ღარიბაშვილმა დიდიე ბურკჰალტერს მადლობა გადაუხადა რუსეთთან ურთიერთობის პროცესში შვეიცარიის მიერ გაწეული შუამავლობისთვის და მიაწოდა ინფორმაცია ჟენევის და ასევე „აბაშიძე-კარასინის" ფორმატებში მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ.

დავოსში სტუმრობის ფარგლებში ასევე დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის შეხვედრა პანამის პრეზიდენტთან.

ალექსანდრე ჭიკაიძე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგა

საქართველოს შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ თანამდებობიდან გადადგომის თხოვნით მიმართა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. „გადაწყვეტილება განაპირობა ბოლო დროს გაჟღერებულმა ბრალდებებმა, თითქოს მე ხელს ვაფარებ ზურა ვაზაგაშვილის მკვლელობაში მონაწილე პირებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრალდება არ შეესაბამება სიმართლეს, ვგრძნობ მორალურ პასუხისმგებლობას და ვტოვებ დაკავებულ თანამდებობას." - ნათქვამია ალექსანდრე ჭიკაიძის საგანგებო განცხადებაში, რომელიც შსს ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნდა. ალექსანდრე ჭიკაიძე აღნიშნავს, რომ გადადგომის გადაწყვეტილებას არ მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ ცხელ კვალზე მოხდებოდა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის გამოძიება. „ტრაგედიის დღეს მე არ ვიმყოფებოდი საქართველოში. ვინაიდან გამოძიება გრძელდება, ვთვლი, რომ უნდა ჩამოვშორდე პროცესს, რათა საზოგადოებას არ დარჩეს კითხვები ხელისუფლების მიმართ" - ნათქვამია განცხადებაში. ალექსანდრე ჭიკაიძე იმედს გამოთქვამს, რომ „უახლოეს მომავალში გამოძიება დასრულდება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა."

შს მინისტრის მოვალეობას ვახტანგ გომელაური შეასრულებს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას მინისტრის პირველი მოადგილე ვახტანგ გომელაური შეასრულებს. როგორც შსს-ში აცხადებენ, როდესაც პრემიერ-მინისტრი დააკმაყოფილებს და ხელს მოაწერს ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებას გადადგომის შესახებ, ამის შემდეგ მინისტრის მოვალეობას ვახტანგ გომელაური შეასრულებს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. მას ეთერ ზურიკაშვილი უხელმძღვანელებს. ეთერ ზურიკაშვილი აქამდე ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელად მუშაობდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა რესურსცენტრის ახალი უფროსი მის თანამშრომლებს წარუდგინა. გამგებელმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებისგან მოისმინა დღეისთვის არსებული პრობლემები და მის მოგვარებას დაპირდა.

დედოფლისწყაროს თვითმმართველობაში 85 ვაკანტურ ადგილზე 99 კანდიდატი იბრძვის

დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ორგანოში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 175 განცხადება დარეგისტრირდა, თუმცა დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენისთვის 11 მათგანს უარი ეთქვა. ტესტირებაზე 164 აპლიკანტი დაუშვეს. მათგან 19 აპლიკანტი არ გამოცხადდა.

ტესტირებაზე გასული 145 მოქალაქიდან მინიმალური ზღვარი 103-მა კანდიდატმა გადალახა, 42 კონკურსანტი კი ჩაიჭრა. ჩაჭრილებს შორის არიან მოქმედი თანამშრომლებიც, თუმცა საკონკურსო საატესტაციო კომისია მათ ვინაობას ვერ აკონკრეტებს.

გაზეთ "შირაქის" ინფორმაციით, კონკურსის მეორე ეტაპზე 103 კანდიდატი გადავიდა, თუმცა გასაუბრების პროცესზე, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, 4 მათგანი არ გამოცხადდა, ამდენად, საბოლოო ჯამში, გასაუბრება 99-მა აპლიკანტმა გაიარა.

საატესტაციო კომისიამ გამგეობასა და საკრებულოში არსებული 85 ვაკანტური ადგილი კონკურსის შედეგად შერჩეული 99 კანდიდატისგან უნდა დააკომპლექტოს. კომისია ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში წერილობით აცნობოს.

სამი ჩემპიონი დედოფლისწყაროდან საერთაშორისო ტურნირზე კიკბოქსინგში

საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში. დედოფლისწყაროელმა კიკბოქსინგელებმა წლის დამამთავრებელი შეჯიბრიც წარმატებულად დახურეს და მედლებითა და სიგელებით დაბრუნდნენ.

შეჯიბრის ჩემპიონები გახდნენ შალვა მოსაშვილი (51კგ); ნიკა ფიროსმანიშვილი (60კგ); გიორგი ნათელაძე (81კგ); ფინალში დამარცხდნენ და მეორე ადგილი მოიპოვეს: გიორგი მარტყოფლიშვილმა (30კგ) თორნიკე ლეკაშვილმა (38,5კგ); გაგა არაბულმა (71კგ).

დედოფლისწყაროს გუნდი "ჩემპიონის" ჭაბუკთა გუნდი ღირსეულად მიჰყვება უფროსი სპორტსმენების ტიტულოვან გზას რომელთაც 2014 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს და საქართველოში 3 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ.

ორთაბრძოლების აღნიშნული სახეობა მსოფლიოში ძალიან პოპულარულია და მილიონობით ახალგაზრდაა ჩაბმული. მას საქართველოშიც ათასობით მიმდევარი ჰყავს, შედეგებიც მსოფლიო არენაზე ყოველ წელს უმჯობესდება.

მესაზღვრეებმა სისხლი გაიღეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის N4 დედოფლისწყაროს სამმართველოს 50-ზე მეტმა თანამშრომელმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღო. როგორც სამმართველოს უფროსმა დავით ჯალიაშვილმა განაცხადა მესაზღვრეები აქციას მთელი ჩეგნებით შეუერთდნენ.

იაშვილის კლინიკასთან არსებული „სისხლის ბანკი"-ს აქციის „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე" ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს რეგულარულად ეხმარებიან.

სასაზღვრო პოლიცია უკვე ორი წელია, თანამშრომლობს მ.იაშვილის კლინიკასთან არსებულ „სისხლის ბანკთან" და მომავალშიც გეგმავს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლის ჩაბარებას.

აღნიშნულ ღონისძიებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

ცოფის შემთხვევები დედოფლისწყაროში — სოფელ სამრეკლოში კარანტინი დაწესდა

ცოფის შემთხვევების გამოვლენის გამო დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში ორთვიანი კარანტინი ამოქმედდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონალური სამმართველოს ინფორმაციით, ცოფის კერები გამოვლინდა სოფელ სამრეკლოში მდებარე რამდენიმე ფერმაში, სადაც ძაღლებს ცოფი ლაბორატორიული კვლევის შედეგად დაუდასტურდა. ისინი მგელმა დაკბინა. სურსათის ცხოველის საკვების უვნელობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახურმა პრევენციული ზომები დროულად ჩაატარეს და დაავადების გავრცელებას არ მისცეს საშუალება.

რაც შეეხება სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ცოფის კერების გამო უპატრონო ძაღლების დახოცვა მიმდინარეობს, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. სოფელ სამრეკლოში მდებარე ფერმებში, ფერმერებმა თვითნებურად საკუთარი ძაღლები მას შემდეგ დახოცეს, რაც ცხოველებს ცოფის ნიშნები აღმოაჩნდათ.

დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, მარიეტა გონაშვილის განმარტებით, ორი კილომეტრის რადიუსში საქონელთან კონტაქტში მყოფი 31 ადამიანი ანტირაბიული მკურნალობის კურსს გადის.

ამ ფაქტს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოც გამოეხმაურა. ის მოსახლეობას ცხოველის დაკბენის შემთხვევაში ექიმთან დაუყოვნებლივ ვიზიტისკენ მოუწოდებს.

„ყველას მოვუწოდებ, ცხოველის დადორბვლის ან დაკბენის შემთხვევაში მიმართონ ექიმს. მათ გეგმიურ მკურნალობას მთლიანად სახელმწიფო აანაზღაურებს. ასევე ყველას მოვუწოდებ შინაური ცხოველების დროული აცრის ჩატარებისკენ", — განაცხადა მინისტრმა.

სკოლის მოსწავლეებისთვის პროექტი „ექსკურსია თეატრებში" იწყება

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სკოლის მოსწავლეებისთვის მასშტაბურ პროექტს „ექსკურსია თეატრებში" იწყებს. პროექტის ფარგლებში, ყველა სკოლის მოსწავლეს საშუალება ექნება გაეცნოს თეატრის არქივს და ისტორიას, დაესწროს რეპეტიციებს, პირადად შეხვდეს თეატრის რეჟისორებსა და მსახიობებს, სპექტაკლებზე კი 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლოს.

თეატრში ექსკურსიის დასაგეგმად დაინტერესებულმა პირებმა ვებ გვერდზე www.culture.gov.ge განთავსებულ ბმულზე უნდა აირჩიონ სასურველი დანიშნულება, გაეცნონ შეთავაზებულ სერვისებს, შეავსონ განაცხადი და დაგეგმონ ექსკურსია.

პროექტის „ექსკურსია თეატრებში" მიზანი სკოლის მოსწავლეების თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებაა. პროექტს კულტურის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განახორციელებს.

პროექტის პირველ ეტაპზე სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი (სსიპ) 11 თეატრი ჩაერთვება. ეტაპობრივად, წლის ბოლომდე, პროექტში საქართველოს ყველა თეატრი ჩაერთვება.

ხარისხიანი და სტაბილური დენი-მითი თუ რეალობა

დედოფლისწყაროში სტაბილური და ხარისხიანი ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი კვლავ აქტუალურია. მართალია, პროგლემის მოგვარების კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ 24 საათიანი გრაფიკით მოსახლეობის ხარისხიანი დენით უზრუნველყოფა ჯერ ვერ მოხერხდა. არსებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების პერსპექტივებზე კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის მენეჯერს ივანე გიგოლაშვილს ვესაუბრეთ:

- მართალია, დენის მიწოდების საკითხში პრობლემები ჯერ ისევ რჩება, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ბევრი რამ გაკეთდა ელექტროენერგიის მიწოდების მოწესრიგების თვალსაზრისით. გამოიცვალა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, გამოიცვალა ბოძებიც. ამისი შედეგია სწორედ ის, რომ ნიავის დროს ჩვენს რაიონში დენი აღარ ქრება. სოფელ ჯაფარიძეში, პრაქტიკულად, მთლიანად შეიცვალა ელექტროსისტემა.

- მაგრამ ამის მიუხედავად, სოფელი ახალი წლის ღამეს დენის გარეშე დარჩა...

-ეს შემთხვევა არ იყო ჩვენი, ანუ ენერგოდისტრიბუციის თანამშრომელთა დანაშაული, ეს ფაქტი ერთ-ერთი მცხოვრების გაუფრთხილებელმა ქმედებამ გამოიწვია-ახალი წლის შესახვედრად მან თოფი ისროლა, რომელიც ახლადშეცვლილ ელექტროგადამცემ ხაზებს მოხვდა და დენის გამორთვა გამოიწვია. ჯაფარიძეს რამდენიმე წუთში დენის მიწოდება აღუდგა, მაგრამ რამდენიმე ოჯახი მაინც დარჩა ელექტროენერგიის გარეშე, თუმცა არა ჩვენი მიზეზით...

- თქვენ ლაპარაკობთ გაკეთებულ საქმეებზე, თუმცა მოსახლეობა კვლავ საუბრობს ენერგოსისტემაში არსებულ პრობლემებზე, კერძოდ, დაქსელილ ელექტროხაზებსა და ამორტიზირებულ ბოძებზე, რომლებიც მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის...

- მინდა ვუთხრა მოსახლეობას, რომ ჩვენი თანამშრომლები მთელი 2 წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, ელექტროგადამცემ ბოძებსა და ხაზებსაც მაშინ ცვლიდნენ, როდესაც ხალხს ეძინა, რადგან დენის გეგმიურ გამორთვას სამუშაო საათებში ბევრი აპროტესტებდა, ბევრ საწარმოს კი პრობლემა ექმნებოდა. ამიტომ ჩვენი ხალხი მაშინ მუშაობდა, როცა სხვები ისვენებდნენ, სამუშაოს დილის 5 საათზე რჩებოდნენ. ამ ყველაფერს კი დანახვა სჭირდება. ამ პერიოდში ჩვენ პრობლემა მოვხსენით ისეთ ქუჩებზე, სადაც მოსახლეობას წლობით აწუხებდა აბლაბუდას ქსელივით აბურდული შიშველი კაბელები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა ადამიანების, განსაკუთრებით კი ბავშვების სიცოცხლეს. თუმცა იმასაც ვაცნობიერებთ, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს, პრობლემები კი მეტად ხელშესახებია სოფლებში. 2015 წელს დაგეგმილია ზემო მაჩხაანის გამრიცხველიანება. დაახლოებით, 1000 მრიცხველზე მეტი უნდა შევცვალოთ, ამასთან ერთად გვინდა ღია კაბელები შევცვალოთ დახურულით. გამრიცხველიანება იგეგმება ასევე სოფლებში: ოზაანში, არბოშიკსა და გამარჯვებაში. მინდა, მოსახლეობამ გაიგოს, რომ გამრიცხველიანება მთლიანად ჩვენი ხარჯით ხდება და ხალხისთვის ის დამატებით ფინანსებთან არაა დაკავშირებული. მართალია, ბევრ სოფელსა თუ უბანში კვლავ აქტუალურია ამორტიზებული ელექტროგადამცემი ბოძების საკითხი. მათი შეცვლა აქამდე მოხდებოდა, რომ არა სპეციალური ტექნიკის უქონლობა. კერძოდ, საქმე ეხება მანქანას, რომელიც რამდენიმე ფუნქციას ერთად ასრულებს, ასევე ბურღს, რომელიც აუცილებელია ორმოს ამოსათხრელად... მოკლედ, პრობლემები მოსახლეობასთან ერთად ჩვენს სამსახურსაც აქვს, მაგრამ გეგმები უამრავი გვაქვს და ვიმედოვნებ, რომ ენერგეტიკის სამინისტროსა და მთავრობის ხელშეწყობით ყველა სირთულეს დავძლევთ.

როგორც ჩვენი რესპოდენტი გვაიმედებს, 2015 წელს შესრულებული სამუშაოების შედეგად მოსახლეობას ხარისხიანი ელექტროენერგია ექნება და კითხვაც: ხარისხიანი და სტაბილური დენი-მითი თუ რეალობა? -აქტუალურობას დაკარგავს.

ინგა შიოლაშვილი

ელიის მიდამოები განათებულია

როდესაც გავიგე, რომ ელიის მიმდებარე ტერიტორია, გარდა იმისა, რომ გზა გაკეთდა, განათდა კიდეც, ძალიან გამიხარდა. ასე მგონია, ახალგაზრდობაში ნაცნებარი ამიხდა. ჯერ კიდევ 35 წლის წინ, როცა საქალაქო საბჭოს დეპუტატი ვიყავი, ელიის მთის განათების იდეა გამიჩნდა. ამას წინ უძღოდა ის, რომ მაშინდელმა მთავრობამ ისტორიული ძეგლების „პროექტორებით“ განათების კამპანია წამოიწყო. ერთ რამედ ღირდა განათებული ჯვრის მონასტრის ღამით ხილვა მცხეთაში. კონკრეტულად კი, ერთ ღამეს, როცა გამარჯვებიდან დედოფლისწყაროში ვბრუნდებოდით, ცა საწვიმრად ემზადებოდა და ელავდა. გადაბმულად ელავდა ტარიბანის მხარეს. რკინიგზა რომ გადმოკვეთეთ და ელიას გავხედე, საოცარი სანახობა დამიდგა თვალწინ. მანქანა გავაჩერეთ და ვტკბებოდით იმ სილამაზით, რომელსაც ელვის ფონზე მწოლიარე ქალის სილუეტი ირეკლავდა. იმდენად მშვენიერი იყო, რომ გვინდოდა, ვინმე ახლობლისათვისაც გვეჩვენებინა. როგორც იტყვიან, ლოგინიდან წამოვყარეთ აკაკი და ვაჟა ოზაშვილები და იმ ადგილას კვლავ მივაშურეთ. ყველანი გაოგნებულები ვუყურებდით ამ სილამაზეს. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ელიის მთის განათების საკითხი ქალაქის საბჭოს სხდომაზე დამაყენებინა. მაშინ ელიის მთა ჩვენთვის წმინდა სალოცავი არ იყო. ის რომანტიკული რელიეფის მქონე ერთმანეთზე გადაბმული ორი მთა იყო, რომელიც მწოლიარე ქალის სილუეტს ჰქმნიდა. მინდოდა ეს სილუეტი არა მხოლოდ დღისით ყოფილიყო ხილული, არამედ-ღამითაც. თუ მას “პროექტორებით”ტარიბნის მრიდან გავანათებდით, ეს საინტერესო სანახავი იქნებოდა ნებისმიერი სტუმრისთვის. ქალაქის მაშინდელმა თავმჯდომარემ შოთა ცისკარაულმა მოიწონა ეს აზრი და მითხრა, ქალაქისთვის გამოყოფილი თანხებიდან ამის გაკეთებას ვერ შევძლებთ, ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობას უნდა ვთხოვოთ, მომავალი წლის ბიუჯეტში იქნებ გაითვალისწინონო. ხან პირველ მდივანთან ვიარე, ხან მეორესთან, მაგრამ ამაოდ. იდეა ყველას მოსწონდა, ფული არავის ემეტებოდა ამ საქმისთვის. ასე მისდევდა წლები ერთმანეთს და .... დროთა განმავლობაში ეს ამბავი მხოლოდ ღამაზ მოგონებად დამრჩა. მას მერე სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა: ზოგი სასიკეთოდ, ზოგი – უარესისკენ. დრომ ბევრ ნაცნებარს წააყარა ნაცარი. ელიის მთაზე მაშინ მხოლოდ ერთი ჯვარი იყო შემორჩენილი. მადლობა უფალს, ამ მხრივ ბევრი სასიკეთო რამ მოხდა. დეკანოზ ნიკოლოზის ძალისხმევით აქ ილია თეზბიტელის სახელობის ეკლესია აღდგა ძველ ნაფუძვარზე, ბერების საცხოვრებელი კელიები აშენდა. ახალმა მთავრობამ კი კაპიტალური გზა გაიყვანა, რითაც მრევლს საშუალება მიეცა, წელიწადის ნებისმიერ დროს, ყველანაირ ამინდში მიეახლოს ტაძარს და მოილოცოს. ამასწინათ კი გავიგე, რომ ელიისკენ მიმავალი გზა, მისი მიმდებარე ტერიტორია და თვით ტაძარიც სულ ელექტროფიცირებულია და ძალიან ღამაზად არის განათებული. ამ საკითხზე სასაუბროდ კახეთის ენერგოდისტრიბუციის მენეჯერს ვანო გიგოლაშვილს *ვესტუმრე.*



- ბატონო ვანო, გავიგე, დიდი სამუშაოები ჩაგიტარებიათ ელიაზე. ეს გეგმიური სამუშაო იყო თუ ვინმეს ინიციატივა?

- დიახ, დღეისათვის ელიის მთა სრულად ელექტროფიცირებულია. მისი დეკორატიული განათების იდეა ეკუთვნის ერთ-ერთ მოქალაქეს ზურაბ გონაშვილს, რომელმაც თავადაც გაიღო წვლილი, სწორედ მან მოიტანა “პროექტორები”. კარგად მოგვეხმარა “სერვისი 2007”-ის დირექტორი დათო დუღაშვილი. ამ ორგანიზაციამ უზრუნველყო რკინის ბოძების დაჭრა-დამზადება და ამ ბოძებისთვის ორმოების ამოთხრა. ჩვენმა ორგანიზაციამ მონდომებით იმუშავა:-სულ განათებულია გზა, მიმდებარე ტერიტორია, ეკლესია და მასთან მისასვლელი კიბეები და თვით ჯვარიც, რომლის განათების სისტემაც ზურაბ გონაშვილმა შეიძინა. ღამე საოცრად ლამაზი სანახავია. ზაფხულამდე აქ კეთილმოწყობის სამუშაოებიც არის ჩაფიქრებული.თუ დღისით ხალხი ელიის ტყეს აფარებს თავს სიცხისგან თავის დასაღწევად, ღამე მაღლა, მთაზე შეუძლია დაისვენოს და სუფთა ჰაერი ისუნთქოს. რადგან განათება უკვე არის და მოედანიც მოსწორებულია, უკვე შეიძლება დაიდგას რამდენიმე მაგიდა და სკამები, სადაც ხალხს შეეძლება დაისვენოს, წაიყვანონ ბავშვები, ანდა სტუმრები. ვფიქრობ, კარგი იდეაა.

- ამ კუთხით კიდევ სხვა იდეებიც ხომ არ გაქვთ?

- აუცილებლად. დენი შეყვანილია მირზაანსა და ზემო მაჩხაანში მდებარე ეკლესიებში. მათი გარე განათებებიც, კვლავ ზურაბ გონაშვილის იდეაა, რომელიც მალე განხორციელდება. აქვე მინდა ერთ საკითხსაც შევეხო. ქ. დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიას ელექტროენერგიის გადასახადის დიდი დავალიანება – 1500 ლარი დიდი ხნია გადმოსდევდა, რომლის ჩამოწერის ან გაუქმების უფლება ჩვენ არ გვქონდა. ამიტომ, ორგანიზება გავუკეთე და ჩემთან ერთად მსხვილმა მეწარმეებმა, ფერმერებმა საკუთარი ხარჯებიდან გაიღეს შესაწირი ამ კეთილი საქმისათვის და დაუფარეს დავალიანება. ვასიკო ყოჩიაშვილმა, ბეჟან გონაშვილმა, ვახტანგ კიკილაშვილმა, ავთანდილ ლეკაშვილმა, ელიზბარ იმერლიშვილმა, ბესიკ თოფჩიშვილმა და სხვებმა (ყველას ვერ ვიხსენებ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი, ვინც გამომრჩა) თავისი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

- ჩვენ გამოვიარეთ უშუქობის ბნელი წლები. დღეს სიტუაცია შეცვლილა, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში დენი რომ გვაქვს, დასამადლებელი არ არის. თუმცა, ახლაც წამდაუწუმ ქრება შუქი. ვერ დაასრულეთ სარემონტო სამუშაოები?

- ბევრი რამ უკვე გაკეთდა, ახლა მაღალი ძაბვის პრობლემა აღარ გვაქვს. მაგრამ 50-60 წელია, ამ დარგში არაფერი გაკეთებულა და ერთი ხელის მოსმით ყველა ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია.

ძირითად სამუშაოებს დილით ადრე ვასრულებდით, მოსახლეობა რომ არ შეგვეწუხებინა, მაგრამ მაინც გვიხდება დაზიანების დროს მცირე დროით გათიშვა, რასაც მოსახლეობა გაგებით ეკიდება. ეს გამოიხატება დენის საფასურის გადახდის ორგანიზებაშიც. ამ კუთხით ჩვენ რეგიონში მოწინავეთა რიგებში ვდგავართ. ამისთვის მინდა მოსახლეობას მადლობა ვუთხრა და შევპირდე, რომ ჩვენ ძალას და ენერგიას არ დავზოგავთ, რომ მომხმარებელს მივაწოდოთ ხარისხიანი ელექტროენერგია და მაქსიმალურად შევამციროთ გათიშვები.

- წარმატებებს გისურვებთ!

ნაირა გორაშვილი

ოთარ დანელია - განვიხილავთ გადასახადების გაზრდას მათთვის, ვინც მიწას არ იყენებს

„ადამიანი, რომელიც არ უვლის მიწას და არ მოჰყავს მოსავალი, არ შეიძლება იგივე პირობებში გვყავდეს, როგორშიც ის ადამიანი, რომელიც უვლის მიწას. აქტიურად ვმუშაობთ ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური საბჭოს ფარგლებში და სერიოზულად განვიხილავთ საგადასახადო ნაწილში აგრარული მიწის სოფლის მეურნეობის დანიშნულებით არგამოყენების, ან უმოქმედობის შემთხვევაში გადასახადების გაზრდას“, — აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია.

eugeorgia.info-სთვის მიცემულ ინტერვიუში მინისტრი აღნიშნავს, რომ მიწის გასხვისების ნაწილში შესამუშავებელი იქნება ისეთი ელემენტი, რომელიც მიწის ნასყიდობის მინიმალურ ზღვარს დაადგენს:

„თუ კითხვა ისმის ასე, უნდა გაიყიდოს თუ არა მიწა, რა თქმა უნდა, უნდა გაიყიდოს და ის უნდა მოხვდეს ბრუნვაში, მაგრამ პირობით, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიწის პროპორციულ და სწორ გამოყენებას. რაც შეეხება კერძო პირისგან უცხოელზე მიწის გასხვისებას, ამ ნაწილში ჩვენ შევჯერდით კანონპროექტის დონეზე, რომ მინიმუმ 5 ჰა უნდა შეიძინოს და მაქსიმუმ 20 ჰა, მაგრამ უნდა ჰქონდეს ბინადრობის მოწმობა. თუ მეტის შეძენა სურს, მაშინ უნდა დარეგისტრირდეს იურიდიულ პირად, რათა მოექცეს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და მინიმუმ 20 ჰა შეეძლება შეიძინოს, მაქსიმალური ზღვარი კი 200 ჰა არის. თუ 200 ჰა-ს სცდება და აქვს განსაკუთრებული პროექტი, არც ესაა პრობლემა, მაშინ პროექტი მთავრობის სხდომაზე უნდა გავიდეს განსახილველად. მე ერთხელ უკვე ვუშუამდგომლე ასეთ პროექტს. ეს არის ჰოლანდიელი ბიზნესმენი, რომელმაც სათბური გახსნა სამტრედიაში და თავისი ოჯახიც აქ ჩამოიყვანა. ასეთი პროექტები პირად კონტროლზე მაქვს აყვანილი“.

კითხვაზე, შეაფერხა თუ არა ასეთი პროექტები ვიზების გაცემის წესის გამკაცრებამ, მინისტრი განმარტავს: „რასაკვირველია, ვიზების საკითხმა გამოიწვია გაურკვევლობა, მაგრამ ეს პრობლემაც გვარდება ელექტრონული ვიზების გაცემის მეშვეობით“.

ოთარ დანელიას თქმით, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, როგორიც არის მაგალითად „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, მაღალმთიანი და საზღვრისპირა რეგიონები ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა.

„ვფიქრობთ სპეციალურ პროექტებზეც, განსაკუთრებული ლოჯისტიკის ცენტრები გვინდა გავაკეთოთ, რომლებიც ამ რეგიონებს გამოაცოცხლებს და განავითარებს“, — ამბობს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

მისივე თქმით, 2014 წელს დაზღვეულ იქნა 131 მილიონი ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო კულტურა. „რაც მთავარია, სისტემამ იმუშავა და გაჩნდა დაზღვევის კულტურა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. პროექტში 16 ათასამდე ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენ უფრო მასშტაბური უნდა გავხადოთ ეს პროექტი მომავალ წელს და ამისთვის სხვა კომპონენტებსაც გავითვალისწინებთ. ყველა მიმართულება იქნება განსაზღვრული და გამოიყოფა 10 მილიონი ლარი იმისათვის, რომ რაღაც ნაწილი დავასუბსიდიროთ აგროდაზღვევით და კიდევ უფრო მეტი სტიმული გაჩნდეს. გაზაფხულზე ვგეგმავთ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ინსტალაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გადაიხედოს ტარიფებიც. მაგალითად, თუ დაზღვევა ხდებოდა 15% ში, დანადგარების დამონტაჟების შემდეგ 15% უნდა გადაიხედოს“, — აცხადებს ოთარ დანელია.

მინისტრი ინტერვიუში კოოპერატივების საკითხსაც შეეხო. მისი თქმით, წვრილი მესაკუთრეები თავად მივლენ გადაწყვეტილებამდე და არავის მოუნდება 1 ჰა მიწის მოვლა იმიტომ, რომ არ იქნება მის მიერ მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციის სტაბილური ბაზარი: „კოოპერატივის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული კომპონენტი არის ის, რომ მას აქვს შანსი იაფად მიიღოს ტექნოლოგიები, გაცილებით უფრო მეტად რენტაბელური იყოს და ჰქონდეს რეალიზაციის სტაბილური ბაზარი, რადგან ის თავად ხდება სტაბილური მიმწოდებელი. ეს არის ის ერთობლიობა, რომლითაც ჩვენ ხელს ვუწყობთ კოოპერატივების განვითარებას და ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდება“.

უცხოელები მათთვის სასურველი ფართის მიწას ვერ შეიძენენ

უცხოელები მათთვის სასურველი ფართის მიწის ნაკვეთებს ვერ შეიძენენ. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი, უცხოელის შემთხვევაში, 5 ჰექტარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო ჯამში, შემძენის საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი 20 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს.

პროექტის მიხედვით, უცხოელის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის ფართობი არ უნდა იყოს 20 ჰექტარზე ნაკლები. ჯამში, შემძენის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ფართობი კი 200 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს.

აღნიშნული შეზღუდვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე, კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე არ გავრცელდება.

კანონპროექტით დადგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების შესახებ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის ან უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის საკუთრების უფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოიშობა, ასეთი ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს. ამასთან, ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა უცხოელი ან უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

კანონპროექტი ადგენს იმასაც, რომ უცხოელებზე მიწის ნაკვეთის გასხვისება ხუთკილომეტრიან სასაზღვრო ზონაში არ უნდა მოხდეს.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები პარლამენტს იუსტიციის და ეკონომიკის სამინისტროების ავტორობით წარედგინა. პროექტის გათვალისწინებით, უცხოელებს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება უბრუნდებათ, რაც გარკვეული პირობების გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს.

იქცევა თუ არა პედაგოგის ჩაცმულობა დისციპლინურ სახდელად?!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების თანახმად, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, მასწავლებელს შეიძლება დისციპლინური სახდელი დაეკისროს. დისციპლინური სახდელებია: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური და სამსახურიდან გათავისუფლება. რა შემთხვევაში დაეკისრება პედაგოგს დისციპლინური სახდელი და როგორ აფასებენ მინისტრის ბრძანებას განათლების პროფკავშირის წარმომადგენლები და ექსპერტები განათლების საკითხებში?

„მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის" დარღვევა, საჯარო სკოლის შინაგანაწესის ანდა სკოლის წესდების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან სხვა ტოქსიკური საშუალებების მიღება, სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში - ეს საჯარო სკოლების მასწავლებელთა დისციპლინური გადაცდომებია, გადაცდომის შემთხვევაში კი მათ დისციპლინური სახდელი დაეკისრებათ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება "მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" გასული წლის ბოლო დღეს, 31 დეკემბერს, გამოქვეყნდა.

ნინო კვიტაიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსი იმ სახდელებზე ლაპარაკობს, რომლებიც საჯარო სკოლის პედაგოგს შეიძლება დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში დაეკისროს. ესენია: საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან გათავისუფლება. დისციპლინური სახდელის სხვა სახე კი შესაძლებელია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით. ნინო კვიტაიშვილის სიტყვებით, მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანება პედაგოგებს მეტ დაცულობას მიანიჭებს და იხსენებს იმ დროს, როდესაც მხოლოდ დირექტორების დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის დ პუნქტის საფუძველზე, ითხოვდნენ პედაგოგებს სამსახურიდან:

„რა თქმა უნდა, მაშინ დარღვევისა და სახდელის შესახებ არანაირი საუბარი არ იყო და პირდაპირ, კონკრეტული დირექტორების გადაწყვეტილებით, ხდებოდა პედაგოგების გათავისუფლება. შემდგომში, ძალიან ბევრ შემთხვევაში, დადგინდა, რომ პედაგოგები უკანონოდ იყვნენ სამსახურიდან გათავისუფლებულნი. ჩვენ ამ წესის მიღებით შევეცადეთ, რომ უფრო დაცული გაგვეხადა პედაგოგი თავის საქმიანობაში. დირექტორს მოქმედების ბერკეტი და სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა აქვს მინიმუმამდე დაყვანილი. ის გადაწვეტილების მიღებას დამოუკიდებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ორჯერ იქნება დისციპლინური კომიტეტი მოწვეული და არ შედგება კვორუმი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას დამოუკიდებლად მიმართოს გარკვეულ ქმედებებს ".



ნინო კვიტაიშვილი დღეს არსებულ პრაქტიკაზე გვესაუბრება და ამბობს, რომ სკოლებში მოქმედ დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც ვალდებულია პედაგოგის დისციპლინური გადაცდომა განიხილოს, იშვიათ შემთხვევაში, მხოლოდ საგანგაშო სიტუაციისას იწვევდნენ, ბრძანების მიხედვით კი, დისციპლინური კომიტეტი ვალდებული ხდება, იმსჯელოს ნებისმიერ დისციპლინურ საკითხზე და შემდეგ გადაწყვეტილება, როგორც რეკომენდაცია, მიაწოდოს სკოლის დირექტორს, რათა გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

იმაზე, რომ დისციპლინური წარმოების წესი მეტ დაცულობას უქმნის პედაგოგს, რადიო თავისუფლებასთან საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძეც ლაპარაკობს, თუმცა, მეორე მხრივ, ის სკოლებში მოქმედ შინაგანაწესებზე ამახვილებს ყურადღებას. ამას მიაჩნია, რომ სკოლებში მოქმედი შინაგანაწესი, რომლის დარღვევაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს პედაგოგის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაწესებას, კაბალურ პუნქტებს შეიცავს, მას დამატებული მინისტრის ბრძანება კი შესაძლოა, პედაგოგების მიმართ სადამსჯელო ბერკეტად იქნეს გამოყენებული:

„მაგალითისთვის დავასახელებდი, რომ მასწავლებელს უნდა ეცვას ელეგანტურად და რა იგულისხმება ამ ელეგანტურ ჩაცმულობაში? ეს დამსაქმებელს აძლევს მეტ საშუალებას, რომ მასწავლებელს უთხრას, რომ მას არ მოსწონს მისი კაბის ფერი და ამის გამო საყვედური გამოუცხადოს. ასევე, განაწესებში წერია, რომ ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში საპატიო გაცდენად ჩაეთვლება მხოლოდ სამი დღე. აი, დღეს სკოლებში შინაგანაწესები ასეთი კაბალური პუნქტებით მოქმედებს. ასე რომ, აუცილებელია ძალიან დიდი ყურადღებით შემუშავდეს შინაგანაწესი, რათა დისციპლინური წარმოების წესი არ იქცეს პედაგოგის უფლებების დამრღვევად".

მაია კობახიძის მტკიცებით, დღეს საჯარო სკოლებში მოქმედი შინაგანაწესი სკოლების სამეურვეო საბჭოებს რესურსცენტრების ხელმძღვანელებმა გადასცეს და კატეგორიულად მოითხოვეს მათგან მათ მიერ შემუშავებული კაბალური პუნქტების შემცველი შინაგანაწესების დამტკიცება. ამ ინფორმაციას უარყოფს რადიო თავისუფლებასთან საუბარში სამინისტროს წარმომადგენელი ნინო კვიტაიშვილი:

„მე გამოვრიცხავ ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ რესურსცენტრს თავად შეექმნა რაიმე შინაგანაწესი, თუმცა, ზოგადად, დირექტორები ხშირად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას შინაგანაწესის თაობაზე".

თამარ მოსიაშვილი, ექსპერტი განათლების საკითხებში, „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების დანიშნულებას ვერ ხედავს და ამბობს, რომ სკოლებში არსებული შინაგანაწესების პირობებში ის ერთგვარ ფარატინა ფურცლად შეიძლება იქცეს. თუმცა ის იმ ერთადერთ მესიჯზე მიუთითებს, რომელიც მან მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით მიიღო:

„არ მგონია, რომ ეს დოკუმენტი სკოლაში რაიმეს შეცვლის. მსგავსი ჩანაწერები არსებობდა სკოლის შინაგანაწესში. შესაბამისად, მზაობა, რომ სკოლებში მოხდეს დისციპლინური კომიტეტების ამოქმედება, რათა გარკვეული სახდელები დააკისროს პედაგოგებს, არ მგონია, რომ ეს ბრძანება ამის ინიციატორი გახდეს. ამ დოკუმენტით მე ერთადერთი მესიჯი მივიღე, რომ სკოლა შეიძლება დატოვოს მასწავლებელმა, რომელიც არღვევს დისციპლინას, და სკოლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დატოვოს მასწავლებელმა, რომელსაც აქვს დაბალი კვალიფიკაცია".

აღსანიშნავია ისიც, რომ, მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების მიხედვით, დისციპლინური სახდელის მოქმედების მაქსიმალური ვადაა ერთი წელი. ვადის გასვლის შემდეგ ან ვადაზე ადრე მოხსნის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მასწავლებელს არ ჰქონია დაკისრებული დისციპლინური სახდელი. სამინისტროს წარმომადგენლის ნინო კვიტაიშვილის თქმით, არ შეიძლება, რომ პედაგოგს მთელი კარიერის მანძილზე პასუხი მოეთხოვებოდეს ერთ დისციპლინურ გადაცდომასა და სახდელზე.

მგლეები, ალყა და სინანული

საქართველოში ნადიროობის ტრადიცია უძველესი დროიდან ილეგს სათავეს, რაზეც განათხარ ძეგლებში ნაპოვნი ძვლოვანი მასალა მოწმობს. როგორც თრიალეთის პეტროგლიფებსა და ბრინჯაოს განათხარ ნივთებზე გამოსახული ნადირისა და ნადიროობის სცენების მიხედვით ირკვევა, ნადიროობას იმ დროინდელ საქართველოში კოლექტიური ხასიათი და სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნდა. საანადირო ფაუნისა და ნადიროობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ძართულ წერილობით წყაროებში, განსაკუთრებით ვახუშტის თხზულებებში.

ფეოდალურ საქართველოში ნადიროობა იყო ფიზიკური ალზრდის ერთ-ერთი ხალხური საშუალება და ლაშქრის წვრთნის, სამხედრო მზადყოფნისა და მასობრივი შემოწმების ფორმაც. იმდროინდელი გლეხობისათვის ლაშქარ-ნადიროობა ფეოდალური ბეგარის ერთ-ერთი სავალდებულო სახეობა იყო. სამეფო კარზე არსებობდა სამონადირეო უწყება, რომელსაც მონადირეთუხუცესი, შემდეგ კი ბაზიერთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მას ემორჩილებოდა „ჯელგის კაცი“, „მრეკალი“, „მესახუნდრე“, ბაზიერი, მეჯინიბეები, ტყეთა და ველთა სამეფო სანადიროთა მცველები და სხვა. განსაკუთრებული ზეიმით სრულდებოდა სამეფო ნადიროობა, რომელიც ძართული საახალწლო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო სამეფო კარზე.

ძველ საქართველოში სანადირო იარაღად, ძირითადად გამოიყენებოდა მშვილდ-ისარი, რომელიც ძართული ხალხური წესებით მზადდებოდა. გვარცელებული იყო ქორით, მწევრებით, მეძებრებით ნადიროობა. მე-17 საუკუნის 70-იან წლებში, ფრანგი მოგზაური ჟან-შარდენი საძართველოს ეწვია. როგორც ჩანს მან შეისწავლა სამეგრელოში ნადიროობის წესები: „ძირითადად ნადიროობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და სემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი“ — წერს იგი. მისივე ცნობით, დიდი რაოდენობით იჭერენ ამ ფრინველთა ახალგამოჩეკილ ბარტყებს და ხუთ-ექვს დღეში იშინაურებენ.

მტაცებელი ფრინველით ნადიროობა გავრცელებული ყოფილა გურიაში. მიმინოებს აქ ფერისა და მჭირავნობის მიხედვით არჩევდნენ. ყველაზე ლამაზ მიმინოდ თეთრი შეფერილობის მიმინო ითვლებოდა, ყველაზე სხრატ და მტაცებლად კი — ჩხარტისფერი. ყურადღებას იქცევს დასახელებებიც: დედალ მიმინოს— ნარდი, ხოლო მამალს —გეზელა ეწოდებოდა. ნადიროობისთვის ყველაზე დიდი უპირატესობა დედალ ფრინველს ენიჭებოდა.

ძართული წყაროების მიხედვით, ჩანს, რომ სანადიროდ გაწვრთნილი ფრინველი და ცხოველი ძვირად ფასობდა, იგი წარმოადგენდა საპატიო საჩუქრის ერთგვარ სახეობას.

ნადიროობის ხალხური ტრადიციები საძართველოში, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ყველაზე უკეთ შემონახული იყო მთიანეთში. ჯგუფური ნადიროობის ფორმებიდან აქ გავრცელებული ყოფილა მორეკვით ნადიროობა (უმთავრესად ტყის ნადირზე), მოჭირვით ნადიროობა (ნადირის სავალი ბილიკების გადაჭრა და სახუნდარში ჩასაფრება უპირატესად კლდის ნადირზე), ნადირის კვალში ჩადგომა (ბუჩქნარისა და ველის ნადირზე). არსებობდა ნადირის შესაკრები სპეციალური ადგილები, სადაც თავს მოუყრიდნენ სანადირო ცხოველის ჯგუფს.

აქტიურ ნადიროობასთან ერთად ძველ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მახე-ხაფანგებით და ბაზით ნადიროობა. ნადიროობის როლი თავისებურადაა ასახული ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში. ნადირთლვთაებებად ითვლებოდნენ ნადირთანგელოზი დალი, ნადირთ-მწყემსი ოჩოკინტრე და ა. შ. ზოგი ჩვეულება ბუნების დაცვას ემსახურებოდა მაგ., რაჭაში მონადირეს ეკრძალებოდა ერთ გასვლაზე სამზე მეტი მსხვილი ნადირის მოკვლა. სანადირო ადგილებიც და სეზონიც განსაზღვრული იყო ტრადიციით. წესის დამრღვევ მონადირეს სოფელი სასტიკად სჯიდა, საჯაროდ კიცხავდა და აჯარიმებდა. როცა მონადირე 1000 ნადირს მოკლავდა, თოფს მიწაში ჩამარხავდა და ნადიროობას თავს ანებებდა.

ეს დარგი თანამედროვე საქართველოშიც აქტუალურია. ამაზე მეტყველებს ამ ახალგაზრდის მიერ მოთხოვნილი ამბავი, რომელიც არაერთხელ გამხდარა ნადიროობის პროცესის უშუალო თანამონაწილე.

* * *

დილიდანვე ვემზადებით, ვკრავთ ბარგს და მივდივართ „სომლიაზე“ - ადგილია ერთი აჭარა - გურიის მთებში. „სომლიაზე“, სადაც მგლის შიშით, ლამის არის მესაქონლეობა მოიშალოს. იქაურმა მწყემსებმა მგლების თარეშის გამო საქონელი სხვა ადგილებში გადარეკეს, მხოლოდ ერთი უშიშარი მეჯოგე - ნუგზარია შემორჩა „საძელიას“ ყუათიან საძოვრებს. ციცაბო აღმართებზე „ტოიოტათი“ ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ მივდივართ ნუგზარიას ხის ძელებისაგან აგებულ ფიცრულ ქოხთან-მეჯოგის ტრადიციულ „კარავთან“, როგორც აქაურები ეძახიან. მე, მამაჩემი, ბიძაჩემი, ჩემი ძმა გია და ჩვენი ქართული ნაგაზი სიმბა. გზაში მწყემსები გვხდებიან, რომლებიც თავიანთ პირუტყვს მწყემსავენ და ვერ ტოვებენ ნადირის შიშით... ჩვენი მასპინძელიც იძულებულია, საქონელი „კარვის“ ახლო - მახლო აძოვოს, ხოლო საქონლის ნაწილი ბოსელში ჰყავს დამწყვდეული - რა ვქნა, ვერც ვუშობ და ვერც ვტიებ, როის გამოხტება ი დასაღუპავი ტყიდან და როის გამოჭამს ყელს რომელიცხას, ღმერთმა იცის, - წუხს ნუგზარია, მკვირცხლი გურული.

სანადიროდ ვემზადებით, პარალელურად მასპინძელი გვიყვება, თუ რომელი მხრიდან ყმუიან შეღამებისას მგლები და სავარაუდოდ, სად შეიძლება იყვნენ ახლა. ნუგზარია გვაკვალიანებს და თვითონაც მოგვყვება, უსაფრთხოდ რომ იყოთ, ხევში დაგებული ნადირის ხაფანგი - ხუნდი უნდა ავშალოო. მე თამაზიას ვემგზავრები-ხუნდის ნახვა მაინტერესებს. მივდივართ იმ ადგილას, სადაც ხაფანგი აქვს აწყობილი, საფეხმავლო ბილიკიდან საკმაოდ მოშორებით, ტყის დასაწყისში. ადგილს ეტყობა, რომ ძველი ნაბილიკარია- ანუ, ადრე, აქ, ნადირის ან ცხოველის სასიარულო ბილიკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველაფერი ბალახებსა და ბუჩქებს დაუფარავს. ხუნდი კარგადაა დამალული, მისვლისთანავე შლის და მეუბნება, -რაღა უკან ავბრუნდეთ, მოდი, ჩავყვეთ ამ ხევს და მერე ზევით ავყვეთ, დანარჩენებს გზას მოვუჭრით, თან ეგებ რამე გადაგვეყაროს გზაში. მისი ნათქვამი ისე მარტივი და ადვილი ჩანს, რომ ვთანხმდები და მივყვები. მაგრამ, სად მიყვები?! ისეთი დაკიდული და გაუვალი ხევია, დათვი გორვით თუ ჩავა ბოლოში. ორივე ხელით ხან ბალახს, ხან ნაძვს, ხან რას და ხან რას ვებღაუჭებით. და ასე წვალებით ჩავდივართ ბოლოში, ნუგზარია ქვემოთ მხვდება, ალბათ ოცი წუთი სჩასული მაინც იქნება.

- ახლა ეგერ, იქინე ავალთ და გავალთ ბილიკზე, - მეუბნება ნუგზარია, რომელიც ამ გადაასადგილებლად რთულ ადგილებს იოლად უყურებს, რაც მას ყოველი მომდევნო განსახორციელებელ მარშრუტზე საუბრისას ეტყობა. მე სიმწრით ვუღიმი და მივყვები. ზუსტად ისეთივე აღმართში გვიწევს ასვლა, როგორზეც ჩამოვედით, თუმცა ნუგზარიამ, რომელიც შეხედულად შესაშურად გამხდარი, საშუალო სიმაღლის კოხტა ულვაშებიანი გურულია, დაჰკრა ფეხი და უცბად ავიდა. მეც მოგვიანებით, წვალებით ვაღწევ ხევის თავში.

როგორც იქნა დავადექით ბილიკს. „ოპერაციის“ წევრები დაწინაურებულან. ნაბიჯს ვუჩქარებთ და მალევე ვეწევით, მაგრამ გია და სიმბა იქ არ არიან. თვალი მოვკარით, ასე, 100-150 მეტრით წინ გასულან. გია ტყის პირა ადგილებს ზვერავს.

ბილიკი, რომელსაც მიყვებით, მგლის სულ ახალი კვალითაა სავსე. ვამჩნევ გია რაღაცას ჩუმად იძახის და სირბილით მოდის ჩვენსკენ. ვხვდებით, რაშიცაა საქმე. აქოშინებულმა მოირბინა და გვეუბნება, - ორ მგელს ვხედავ, ტყის პირას სძინავთ. მიპარვა შეიძლება, ისეთ ადგილას არიან.

მამა გვარიგებს, თავის თოფს მითმობს, ჩემი ცილინდრულ ლულებიანი არ გამოდგება, და მოკლედ ჭრის, -შენ არ გყავს მონაკლავი, წადი და აბა, შენ იცი.

თოფს ვართმევ და მგლებს ვეპარებით მე, ჩემი ძმა და ბიძაჩემი. სიმბას მამაჩემი იტოვებს, იქვე რჩება ნუგზარიაც. ასი მეტრის გავლის შემდეგ ბიძაჩემი გვანიშნებს, რომ თვითონ მარჯვნიდან მოუვლის, მე და გია კი მარცხნიდან დავუვლით. ცოტა რომ გავიარეთ, გია ჩუმად რაღაცაზე მიმანიშნებს. ვაკვირდები და მგლებს ვხედავ. წამიერად თვალს ვავლებ გარემოს, - მგლებს ისეთი ადგილი აქვთ შერჩეული, რომ უკეთესს ვერც ინატრებ: ტყისპირას წორი ადგილი, შუაში წყალი, უკან გასაქცევად ტყე და იელი (იელი- მთისათვის დამახასიათებელი მცენარე). შემოდგომაა, მაგრამ ბუნება ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიმწვანეს. მართალია, მგლებს მონაცრისფრორუხი შეფერილობა აქვთ, მაგრამ იქაურობა ისეა დაბეკნილი მათ მიერ, რომ ბალხს ფერი ნაადრევად აქვს შეცვლილი და მტაცებლების შემჩნევა ამ ფონზე სულაც არაა ადვილი.

თავიდან ორ მგელს ვხედავთ და ლეკვები გვგონია, რადგან სიშორის გამო პატარები ჩანან, სინამდვილეში კი, როგორც მერე გაირკვა, ეს დიდი ძუ და ხვადი იყო.

მიპარვა შეუძლებელი გვეჩვენა და სასროლამდე დიდ მანძილს მივხოხავთ, თან იმის იმედზე ვართ, რომ იმ ორ მგელს, რომლებსაც ვხედავთ, სძინავთ. წინა დღეს გადმოღმა გორაზე ძროხა ჰყავთ დანაგლეჯი და ახლა ინელებენ. ცოტა ხნის ხოხვის შემდეგ ვხედავთ, რომ ერთმა მგელმა გამოიღვიძა და ჩვენსკენ იყურება. სუნთქვა გვეკვრის, ადგილზე ვშეშდებით და თოფებს ვამოწმებთ, რადგან თუ მგლები დაფრთხნენ და მიპარვას არ დაგვაცდიან, შორიდანვე უნდა ვესროლოთ. ჩვენდა სასიკეთოდ მგელი ვერ გვამჩნევს, მიზეზი კი, სავარაუდოდ ისაა, რომ მზე ჩვენი მხრიდანაა და მხედველობაში ხელს უშლით. ცოტა კიდევ ვიჩოჩებით და რას ვხედავთ: მგლებისგან მოშორებით ერთი შედარებით მომცრო მგელი, წევს და არ სძინავს.ახლაღა ვხვდებით, თუ რამხელანი არიან ის ორნი, რომლებსაც სძინავთ. ეს მომცრო მგელი კი, რომელიც სავარაუდოდ მათი ნაშიერია, თავს ისე ატრიალებს იქეთ-აქეთ, რომ დიდი შანსია შეგვამჩნიოს (ის, აშკარად, დარაჯის ფუნქციას ასრულებს). ჯერ მაინც კარგა შორ მანძილზე არიან. გადავწყვიტეთ, აქცენტი ამ ორ დიდ მგელზე გავაკეთოთ. ხოხვას ვაგრძელებთ. ორი-სამი მეტრის გავლის შემდეგ, კიდევ ერთი მოულოდნელობა: ორ მომცრო მგელს ვხედავთ ჩვენს ქვემოთ. გიას გავხედე, მანიშნებს, რომგზას ვეღარ გაგრძელებს, რადგან მგლები უმალ შენიშნავენ, მე კი კიდევ შემიძლია მიახლოება და გზას ვაგრძელებ. ამ დროს ვხედავ, რომ ზემოთხსენებული მომცრო მგელი, (დარაჯი), რომელიც მოშორებით მარტოა, მამჩნევს, დგება და ტყისკენ გარბის. ცოტას კიდევ მივხოხავ და ვხედავ, რომ ორი დიდი მგელიდან ერთი დგება და იქვე შქერებში შედის. ვგრძნობ, შეიძლება დანარჩენებმაც შემამჩნიონ და სროლას ვაპირებ. მარჯვნივ ვიხედები და გიას ვანიშნებ, რომ მოემზადოს. ზემოთ, გორაზე ბიძაჩემიც შევნიშნე, რომელიც ჩასაფრებულა და ჭოგრიტით ნადირობის მსვლელობას აკვირდება. წელში ვიმართები მუხლებზე დაჩოქილი და სასროლად ვემზადები.დიდი მგელი ჩემგან შორსაა. ამიტომ ვარჩევ, მომცრო მგლებს ვესროლო. თოფს მხარზე კარგად ვიჭერ, ვუმიზნებ და ორივე ჩემი თვალთახედვის არეში ექცევა. ერთი წევს, მეორე კი-დგას. მწოლიარეს ვუმიზნებ და ვესვრი.ვესვრი და რას ვხედავ, მწოლიარე მგელი, სროლის შემდეგ ფეხზე დგება და გაკვირვებული მიყურებს, ისეთივე გაკვირვებული, როგორადაც მე - მას. ამ დროს წინ მეორე მომცრო მგელი მორბის. „თოფს ვაყოლებ“ და ვესვრი. ცოტაზე გარბის და მიწაზე ეცემა. ამ დროს მესმის, თუ როგორ ისვრის გია აქედან, ბიძაჩემი კი – იქედან, გაღმიდან. სწრაფად ვცვლი ჰილზს, რომელიც ამ დროის მანძილზე კბილებით მიჭირავს, რომ ჯიბეში ფათურში დრო არ დავკარგო. ვხედავ, დახლოებით, სამოც მეტრში ის დიდი მგელი, რომელიც რამოდენიმე წუთის წინ იელებში შესულიყო, ბუჩქებიდან გამოხტა და გან-გან გარბის, თან ჩემსკენ იყურება. თოფს ვაყოლებ და „თორმეტიან“კარტეჩს ვესვრი. დაახლოებით მოზარდი კვიცის ხელა მგელი ადგილზე ტრიალდება და ეცემა, მაგრამ უცებ წინა ფეხებზე იმართება და ტყისკენ მიხოხავს, ტანს და უკანა ფეხებს მიათრევს. მთელი სისწრაფით მგლისკენ გავრბივარ, თან კვლავ ჰილზებს ვცვლი. უცებ მესმის, - მიდი, მიდი. წამით თავს ვაბრუნებ და ვხედავ, როგორ მორბის სიმბა ჩემს უკან. მამაჩემი და თამაზიაც ასულან გორის თავზე და ამ ყველაფერს უყურებენ. მივდივარ იმ ადგილას, სადაც დავინახე, როგორ შეძვრა მგელი ტყისპირა ბუჩქებში. საკუთარი გულისცემის მეტი არაფერი მესმის. კარგად ვაკვირდები და ვხედავ, იელში უძრავად მწოლიარე მგელს. სიმბა ახლოს მოდის, ბუჩქებში შედის და კბილებით ეტანება.

ეს ყველაფერი წამებში მოხდა. გამოღმა მხარეს ამ დროს გიას ერთი დიდი მგლისთვის უსვრია, მეორე კი - პატარასთვის. ვერც ერთისთვის ვერ მოურტყამს, - შორს იყო მისგან. ამ დროს მეორე მგელს, (როგორც მერე გაირკვა ძუ ყოფილა) ბიძაჩემმა ესროლა ორჯერ, - პირველად მსუბუქად დაჭრა, მეორედ კი, სავარაუდოდ, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რადგან სროლის შემდეგ მგელი ადგილზე დატრიალდა და შქერებში ჩაეშვა. მე, გია და ბიძაჩემი ხევს მივყვებით, მგლის მოსაძებნად, ამ დროს გასროლის ხმა გვესმის. მამაჩემი და ნუგზარია ზემოთ არიან და ერთი მომცრო მგელი უკან მობრუნებულა (აი, ის, დარაჯად რომ იყო), ნუგზარიამ ფეხში დაჭრა და ბოლოს მამაჩემმა მოკლა.

ბევრი ვეძებეთ, მაგრამ„ბიძაჩემის“ მგელი ვერ ვიპოვეთ, სერიოზულად იყო დაჭრილი, ალბათ იმ გაუვალ ხევს ბოლომდე ჩაჰყვა... ჩავთვალეთ, რომ ის მგელი არ გადარჩებოდა.

უკან ვბრუნდებით, დახოცილ მგლებს ერთ ადგილზე ვაგროვებთ, სამ ცალს.

ყველაზე საინტერესო ნუგზარიას კმაყოფილი და შვებამოგვრილი სახეა, ულვაშებში ეღიმება და სახეზე აწერია, -აუჰ, არ მევითქვი სული!

სამი კვირის შემდეგ ნუგზარიამ შემოგვითვალა, რომ საყორნიაზე (უმაღლესი მთა გურიაში) მომცრო მგელი უპოვიათ მკვდარი. ეს ის მგელია, მე და გიამ რომ ვესროლეთ, თუმცა, რას გაიგებ, რომლის ნასროლმა გასჭრა, ორივემ 12 ბურთულიანი კარტეჩი ვესროლეთ.

ამ დღეს „სომლია“ გათავისუფლდა მისი ამომგდებებისაგან, რომლებიც, დღეს-დღეობით მარტო მთაში კი არა, ბარშიც საგრძნობლად მომრავლდნენ და სიცოცხლეს უმწარებენ მესაქონლეებს.

რამდენჯერაც ამ ისტორიას გავიხსენებ, იმდენჯერ მომაგონდება ქართული ფილმი „ხარება და გოგია“ და განსაკუთრებით ფილმის ფინალი, ვიზუალურად, დრამატიზმითაც და კიდევ ბევრი რამითაც რომ ჩამოჰგავს ჩვენ თავს გადამხდარ ამ ამბავს.

ნიკა გოზრონიძე

იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე გარდაცვლილი იპოვეს

იური ვაზაგაშვილი სპეცოპერაციის დროს მოკლული მისი შვილის, ზურას საფლავზე კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში გარდაცვლილი იპოვეს.

გავრცელებული ინფორმაციით, იური ვაზაგაშვილი 20 იანვარს აფეთქების შედეგად გარდაიცვალა.

მოწმეთა თქმით, მათ აფეთქების ხმა გაიგონეს და როდესაც საფლავს მიუახლოვდნენ, იური ვაზაგაშვილის ცხედარი აღმოაჩინეს.

მთავარი პროკურორის მოადგილემ ირაკლი შოთაძემ დაადასტურა, რომ გარდაცვალება აფეთქებამ გამოიწვია, თუმცა ასაფეთქებელი მოწყობილობის ტიპი ვერ დააკონკრეტა. შოთაძემ განუცხადა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ ეს და სხვა დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი. მისი თქმით, რაიმე სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობა, გარდა იმისა, რაც აფეთქდა, ინციდენტის ადგილას არ იქნა ნაპოვნი.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატმა, მამუკა ჩიქოვანმა განაცხადა, რომ „არაა გამორიცხული“ მომხდარი ტრაგედია დაკავშირებული იყოს გამოძიებასთან, რომელიც „აქტიურად მიმდინარეობდა“.

იური ვაზაგაშვილი წლების განმავლობაში იბრძოდა პროტესტის სხვადასხვა ფორმებით იმისათვის, რომ გამოძიებას სიმართლე დაედგინა მისი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ზურა ვაზაგაშვილი 2006 წლის 2 მაისს თბილისში, ყოფილი კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა მანქანაში საშა ხუბულოვთან ერთად ჩაცხრილეს, მათთან მყოფი ერთი ახალგაზრდა დაიჭრა. მაშინ პოლიციამ განაცხადა, რომ „ყაჩაღური ჯგუფის“ წინააღმდეგ ჩაატარა სპეცოპერაცია. ამ ვერსიას ვაზაგაშვილის ოჯახმა და უფლებადამცველებმა უნდობლობა გამოუცხადეს და

იმ პოლიციელთა დასჯას მოითხოვდნენ, რომლებმაც, მათი შეფასებით, უფლებამოსილებას გადაამეტეს.

ხელისუფლებამ ხელახალი გამოძიება 2012 წლის ბოლოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო და ის კვლავ მიმდინარეობს.

გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, 19 იანვარს „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში, ვაზაგაშვილმა ხელისუფლება გააკრიტიკა გამოძიებაში პროგრესის ნაკლებობის გამო. ხოლო გასულ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ ზოგიერთი სამართალდამცავი, რომელიც მისი შვილის წინააღმდეგ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა, კვლავაც მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში და მან მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე მათ „მფარველობაში“ დაადანაშაულა.

სამშაბათს თბილისში პარლამენტის შენობის წინ ათობით ადამიანი შეიკრიბა, რომლებიც ხელისუფლებისგან იური ვაზაგაშვილის გარდაცვალების დაუყონებლივ გამოძიებას ითხოვდნენ.

პრემიერ—მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ის „შოკირებულია“ იური ვაზაგაშვილის დაღუპვის გამო; მან სამართალდამცავ სტრუქტურებს საქმის დაუყონებლივ გამოძიებისა და ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის გამოძიების „უმოკლეს ვადებში“ დასრულებისკენ მოუწოდა.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ასევე გაავრცელა განცხადება, რომელშიც სამძიმარი გამოთქვა ვაზაგაშვილის დაღუპვის გამო და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება „დროულად დაადგენს ჭეშმარიტებას“.

ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატი ირმა ჭკადუა ვარაუდობს, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე ორ-სამ კვირაში გაიხსნება. როგორც ადვოკატმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა , ვაზაგაშვილების საქმეზე ადვოკატებს პროკურატურაში ჰქონდათ შეხვედრა, მათ გამომძიებლებს ის დეტალები მიაწოდეს, რაც იური ვაზაგაშვილს არ ჰქონდა მიწოდებული.

“პროკურატურაში მოხდა ინფორმაციის გაცვლა. მათ აინტერესებდათ ჩვენს მიერ მიწოდებული ყველა დეტალი, თუკი არის ისეთი, რაც ბატონ იურის არ ჰქონდა მიწოდებული. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებს ვერ გეტყვით. მე პირადად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი ზურაბ ვაზაგაშვილის საქმესთან მიმართებაში. ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ დაახლოებით ორ-სამ კვირაში ეს საქმე გაიხსნება”, - განაცხადა ირმა ჭკადუამ.

ადვოკატის თქმით, ოჯახის ახლობლების მოთხოვნაა, რომ ვიდრე ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე სრულად არ იქნება გამოძიებული, ყველა ის ადამიანი, ვინც 2006 წლის 2 მაისის სპეცოპერაციასთან პირდაპირ თუ ირიბად იყო დაკავშირებული, დროებით მაინც იქნან თანამდებობიდან გადაყენებული.

ირმა ჭკადუამ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს არის ურთულესი საქმე და დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო, რათა მოხდეს საქმეზე შედეგის დადება.

ირმა ჭკადუას ინფორმაციით, ამ წუთისთვის გამოკვეთილი კონტურები საქმეში მას არ უნახავს.

კონკრეტულად თუ ვისთან შედგა პროკურატურაში შეხვედრა, ადვოკატმა ირმა ჭკადუამ არ დააკონკრეტა.

ზურაბ ვაზაგაშვილი 2006 წლის 2 მაისს თბილისში, კორტებთან სპეცოპერაციის დროს მოკლეს. იური ვაზაგაშვილი აცხადებდა, რომ მისი შვილის მკვლელები მაღალ თანამდებობებზე განაგრძობენ მუშაობას.

ამასთან, ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი კასპის რაიონში, 20 იანვარს შვილის საფლავზე დამონტაჟებულ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე აფეთქდა.

ხსოვნა

ელისაბედ (ლიზიკო) მეხრიშვილი

მასწავლებელთა მასწავლებელი - ასე შეგვიძლია გავიხსენოთ ღვაწლმოსილი ქალბატონი, სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის ყოფილი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, წლების მანძილზე ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე - ელისაბედ (ლიზიკო) მეხრიშვილი.

ლიზიკო მასწავლებელო, თქვენს მაგალითზე მრავალი თაობები გაიზარდა. თქვენი პროფესიაც ბევრმა შეიყვარა. თქვენ იყავით მაგალითი ნამდვილი ქალის, დედის, მეუღლის, მაშინაც კი, როცა ჩვენს გვერდით აღარ იყავით, ხშირად გიხსენებდით, თბილად, სიყვარულით.

როგორც ამბობენ: სიკვდილი ყველას კარზე დაიჩოქებსო. ასე მოხდა თქვენს შემთხვევაშიც. ხანდაზმულ ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თქვენც წახვედით ამქვეყნიდან. წუთისოფელს გამოაკლდა კიდევ ერთი მშვენიერი ქალბატონი, ყველასათვის საყვარელი ლიზიკო მასწავლებელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი მიწა. ჩვენ ყოველთვის მოგიგონებთ და ეს მოგონება იქნება სევდანარევი.

სოფელ სამრეკლოს
საჯარო სკოლის
პედკოლექტივი.

მეუღლე გურამი, შვილები: ნუნუკა, ნუგზარი, ალექსანდრე, ვაჟა; რძლები: თამრიკო, ბაბული, ლალი; შვილიშვილები: ქეთევანი, ანი, ნინი, გურამი, კესარია გოგაშვილები იუწყებიან

ქსენია მჭედლიშვილ-გოგაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა შაბათს, 24 იანვარს, სოფელ არბოშიკში.

შ.პ.ს. „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლალი მეხრიშვილს და ვაჟა გოგაშვილს დედის

ქსენიას

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები: ნანა სეხნიაშვილი, ნინო ღორაშვილი, მარინა ნატროშვილი, ხათუნა ჯანაშვილი, ესმა ქადაგიძე, მარგო და ლია ალადაშვილები, ნესტან ბალაძე, ხათუნა ალუღიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ციცინო ჯორკოშვილს მეუღლის

სპარტაკ ჯორკოშვილის

გარდაცვალების გამო.

გოდერძი იაკობიშვილი, გია ამირიძე, მერაბ ბაცაცაშვილი და გია ცაკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

სპარტაკ ჯორკოშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები: ნანა სეხნიაშვილი, ნელი ყაჭაშვილი, ლალი პოპიაშვილი, ლია გომელაური, ნანული ელიზაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გელა და მანანა ტატუნაშვილებს დედის

რუსუდანის

გარდაცვალების გამო.

ვასილ აბულაშვილის ოჯახი სამძიმარს უცხადებს ციცო, გელა, თამარ, ილია ჯორკოშვილებს მეუღლის და მამის

სპარტაკ ჯორკოშვილის

გარდაცვალების გამო.

ნანა სეხნიაშვილი, მარინა ნატროშვილი, ესმა ქადაგიძე თანაგრძნობას უცხადებენ ჩიტო, ნიაზი და თეა იაკობიშვილებს შვილის და მეუღლის

თემურ იაკობიშვილის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ესმა ქადაგიძეს დედის

ლამარას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ციცო; შვილები: გელა, თამარი, ილია. შვილიშვილები: სოსიკო, ნიკა; სიძე გიორგი პოპიაშვილი; შვილთაშვილი სალომე; რძლები: ანა აბულაშვილი, დარეჯან დალაქიშვილი; ბიძაშვილი ნათელა ჯორკოშვილი იუწყებიან

სპარტაკ ილიას ძე ჯორკოშვილის

გარდაცვალებას.
დაიკრძალა 24 იანვარს, დედოფლისწყაროში, პირველი მაისის ქ N 32.

თბილისში მამა გაბრიელის 12 ხატს ლიტრობით მირონი სდის - სასწაული არსენიძეების ოჯახში და ასობით მომლოცველი ყოველდღიურად

ლოტკინის დასახლებაში, ახტალის ქუჩაზე, არსენიძეების ოჯახში მამა გაბრიელის 12 ხატს მირონი სდის. ოჯახის დიასახლისი მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ მამა გაბრიელის ხატი, ლოტკინზე მდებარე მშენებარე ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში აღდგომის დღესასწაულზე შეიძინა.

"ხატმა მირონდენა ივნისის ბოლოს დაიწყო, ზაფხულში ქალაქიდან გავდიოდით და ხატი ტაძარში გვყავდა ჩაბრძანებული, ტაძარში მირონდენა შეწყვეტილი ჰქონდა. რომ ჩამოვედით, ხატი სახლში წამოვაბრძანეთ და მირონდენა ისევ დაიწყო. საკმაოდ ხშირად მოსდის მირონი, დღეში სადღაც ლიტრამდე მირონს ვაგროვებთ და ვაბარებთ ტაძარში", - აცხადებს მაკა ესაკია.

არსენიძეების ოჯახში ხატის მოსალოცად მისული საკმაოდ ბევრი ადამიანი დაგვხვდა. მაკა ესაკია ამბობს, რომ დღის განმავლობაში 100-200 ადამიანი მიდის, რის გამოც საღამოს მათ მისაღებად სპეციალური დრო გამოყვეს.

"მოდიან მომლოცველები, კითხულობენ დაუჯდომელს. ჩვენი ხატები სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია მეორესთანაც იყო მიბრძანებული. თავიდან მირონდენა მამა გაბრიელის ერთ ხატს დაეწყო, ამის შემდეგ კიდევ შევიძინეთ წმინდანის რამდენიმე ხატი და მათაც დაიწყეს მირონდენა", - აცხადებს მაკა ესაკია.

ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მომლოცველები ხატს ხშირ შემთხვევაში განკურნებას და გაჭირვებიდან ხსნას სთხოვენ.

"ძირითადად გაჭირვებულები, სნეულებით დაავადებული ხალხი მოდის. კმაყოფილები არიან, ზოგი უკვე განიკურნა", - გვეუბნება ოჯახის წევრი ნინო ფატარიძე.

ლოტკინის დასახლებაში მისულები არსენიძეების ოჯახის მეზობლებსაც გავესაუბრეთ. ისინი სხვადასხვა ისტორიებს ყვებიან. ამბობენ, რომ ხატს დიდი ხანია მირონი სდის და მის სანახავად ხალხი რაიონებიდანაც კი ჩამოდის. მეზობლების ინფორმაციით, ხატის მადლმა მძიმე დაავადების მქონე ადამიანებიც განკურნა.

"12 წლის გოგოს გულის მანკი აწუხებდა, საოპერაციოდ ამზადებდნენ, დედამ კი ხატის მოსალოცად მოიყვანა. ოჯახის დიასახლისმა გოგონას მირონი გულზე აცხო, რომელმაც სისხლის ფერი მიიღო. გოგონა მაშინვე განიკურნა. იმის შემდეგ ხშირად მოდის ხოლმე ეს პატარა ბავშვი ხატებთან და ლოცულობს" , - აცხადებს არსენიძეების მეზობელი ნინო.

მეზობლები ამბობენ, რომ უბანი კიდევ ბევრი სასწაულის მნახველი გახდა.

მეზობლები ასევე აცხადებენ, რომ ლოტკინის მიწა ამ სასწაულის მოვლენის შემდეგ წმინდა მიწა გახდა.

ულოცავენ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილს!

ბატონო ნიკოლოზ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური გილოცავთ ბედნიერებას თქვენს რჩეულთან-მაკა მეტრეველთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და აკვანთა სიმრავლეს. არ მოგკლებოდეთ უფლის მადლი და დიდი სიყვარული თქვენი ცხოვრების მანძილზე.

მაია ფოცხვერაშვილს!

ქალბატონო მაია, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს ოჯახთან ერთად, წარმატებულ საქმიანობას მთელს ჩვენს კოლექტივთან ერთად თქვენი ხელმძღვანელობით. გვიგულეთ თქვენს გვერდით. უფალი გფარავდეთ.

ქ.დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

ლია ალადაშვილს!

ნინო თითილოკაშვილს!

საყვარელო კოლეგებო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს. იყავით ბედნიერები და გაიხარეთ.

ქალაქ დედოფლისწყაროს N3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

სპორტი

კავკასიის პირველობა ხელჩართულ ბრძოლაში

ხრიდოლის ფედერაცია, (პრეზიდენტი ნუკრი მჭედლიშვილი) არის საერთაშორისო „IHCMAF"-ის წევრი. წელს ტრადიციულად ჩატარდა კავკასიის პირველობა ხელჩართულ ბრძოლაში. მესამე წელია, ამ ტურნირში ზედიზედ მონაწილეობს ზემო მაჩხაანის კლუბი „ზაქები" (მწვრთნელი გენადი ნატროშვილი.) „ზაქებიდან" მონაწილეობა მიიღო ოთხმა სპორტსმენმა და საუკეთესო შედეგებით დაბრუნდნენ. პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ნატროშვილმა და აკაკი (ტატო) ნატროშვილმა. მეორე ადგილი მოიპოვეს გიორგი ტოკლიკიშვილმა, ხოლო მესამე ადგილი გიგა ნატროშვილს ერგო წილად. ამ შეჯიბრზე გამოვლინდა პირველი ჩემპიონი აკაკი (ტატო) ნატროშვილი, რომელიც არის საუკეთესო სპორტსმენი და მომავალში დიდი წარმატებები ელის.

„IHCMAF"-ის ტურნირში ხელჩართულ ბრძოლაში კავკასიის პირველობა მოიპოვა გიორგი ნატროშვილმა. აღსანიშნავია, რომ გიორგი ზედიზედ სამჯერ გახდა ამ ტურნირის ჩემპიონი. გიორგი ნატროშვილი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ მწვრთნელის და სპორტსმენის თანხმობით მონაწილეობდა უფროსი ასაკის სპორტსმენებში. უფროსი ასაკი არის 18-დან 35 წლამდე. ბრძოლა ჩატარდა MMMA-ს წესებით. ფინალური ბრძოლა ნატროშვილმა დროზე ადრე დაამთავრა, გიორგის მეტოქე ფეხის მძიმე ტრამვით ექიმის დახმარებით გაიყვანეს ტატამიდან.

კიკბოქსინგი

20-21 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა შეჯიბრი საქართველოს თასზე. ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ ლაშა ჭურაძე. ამ ტურნირში დედოფლისწყაროდან ზემო მაჩხაანის „ზაქები" ჩაერთვნენ. მონაწილეობდა გიორგი ნატროშვილი, რომელსაც ბრძოლა საკმაოდ გამოცდილ მებრძოლებთან მოუწია, რომლებსაც სძლია და დაიკავა პირველი ადგილი, რისთვისაც გადაეცა ტურნირის თასი, მედალი და დიპლომი. ნიშანდობლივია, რომ გიორგი ნატროშვილმა დეკემბრის თვეში ორი პირველი ადგილი მოიპოვა ორ სხვადასხვა სახეობის ტურნირში და ეს მისი დიდი წარმატებაა, თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პატარა, მაგრამ უკვე დიდ სპორტსმენ ბიჭს 2014 წლის შეჯიბრებებზე თორმეტი პირველი ადგილი აქვს აღებული და თორმეტჯერ გამარჯვების დიდი სიხარულითაა ჩამოსული ტატამიდან.

ლალი მეხრიშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 26.01	სამშაბათი 27.01	ოთხშაბათი 28.01	ხუთშაბათი 29.01	პარასკევი 30.01	შაბათი 31.01	კვირა 01.02
დღე	1°	2°	1°	3°	4°	5°	8°
ღამე	0°	0°	0°	2°	3°	3°	7°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K